

საქნახშირი

პრესრელიზი

ტექნიკური გადაიარაღების შემდეგ „საქნახშირი“ სრული დატვირთვით მუშაობს

ტყიბულის შახტამ მუშაობა სრული დატვირთვით დაიწყო. შახტაში სადაც 1500 მეშახტე დასაქმებული და ქვანახშირის მოპოვება, გადამუშავება მიმდინარეობს მუშაობა განახლდა. „საქნახშირი“ საწარმოო პროცესი გადაიარაღების გამო ნაწილობრივ შეჩერებული იყო. კომპანიამ შახტაში მიმდინარე წლის იანვარში მასშტაბური სარემონტო სამუშაოები ჩაატარა, რომლის მიზანიც შრომითი უსაფრთხოების გაძლიერება და სამუშაო პირობების გაუმჯობესება იყო.

კომპანიამ შეიძინა ახალი თანამედროვე ტექნიკა. საწარმოს ინფორმაციით შეიცვალა 700 მეტრამდე სარკინიგზო მაგისტრალი, შექმნილია ახალი თანამედროვე ტექნიკა - გვირაბგამყვანი კომბაინი, ქანსატვირთი მანქანა, ფუჭი ქანის დამტვირთავი ჰიდრო ჩაქუჩით, 250 ერთეული ნახშირის გადამტანი თვითმცლელი ვაგონი, 3 ახალი ელმავალი, 5 ნახშირის გადამტანი ავტომანქანა და მეშახტეებისათვის ახალი სპეც ტანსაცმელი, მთლიანად კომპანიაში 3 მილიონ \$-ზე მეტი ღირებულების ინვესტიცია განხორციელდა გადაიარაღების მიზნით“. ტყიბულის შახტაში თებერვლიდან საწარმო პროცესი სრული დატვირთვით აღდგა და დასაქმებულებს თანამედროვე ტექნიკის ათვისებაში უკრაინელი სპეციალისტები ეხმარებიან.

01.02.2017

შპს "საქნახშირი ჯი-აი-ჯი" დაარსდა 2006 წლის აპრილში. მისი დამფუძნებელია „ჯი-აი-ჯი“. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქვანახშირის მოპოვებითი სამუშაოები და შემდგომი გამდიდრება. დღესდღეობით საქნახშირი საქართველოში ქვანახშირის აქტივების ძირითადი მფლობელი და ერთადერთი მომპოვებელი კომპანიაა. კომპანიის ძირითად აქტივებს წარმოადგენს ძიძიგურის და მინდელის სახელობის მადაროები, რომლებიც მდებარეობს ტყიბული-შაორის საბადოების ტერიტორიაზე.

